




აკადემიკოსი ვასილ ხადიშვილი.

საქართველოს ეროვნულ და
სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის
ნამდვილ წევრად — აკადემიკოსად
არჩეულია 2004 წლიდან



ინჟინერ-კონსტრუქტორი ვასილ ხადიშვილი დაიბადა ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ალვანში 1939 წლის 1 მარტს.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1959 წელს შედის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და ამთავრებს 1965 წელს სპეციალობით სამრეწველო და სა-
მოქალაქო მშენებლობა.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე იწყებს მუშაობას საპროექტო ინსტიტუტში „ორგენერგომშენი“ მოსკოვის ფილიალში ინჟინერ-კონსტრუქტორად.

წლების განმავლობაში „ორგენერგომშენი“ მოღვაწეობისას 1965-1988 წლებში გაივლის გზას რიგითი ინჟინერ-კონსტრუქტორიდან, უფროსი ინჟინრის, ჯგუფის უფროსის მთავარი სპეციალისტის და მთავარი კონსტრუქტორის თანამდებობებზე. წლების მანძილზე მონაწილეობს „ენგურხესის“ კაშხლის ობიექტების პროექტირებაში და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების პროექტების დამუშავებაში.

პარალელურად ჰიდროტექნიკის კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად ამუშავებს გვირაბის შემოსვის ანაკრები რკინა-ბეტონის ელემენტებისაგან. ამავე ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად ამუშავებს 500 მეტრი სიმაღლის წინასწარდაძაფული რკინა-ბეტონის საკვამლე მილის კონსტრუქციული ნაწილის პროექტს, რაზეც მიღებული აქვს 11 ხარისხის დიპლომი.

გარდა ჰიდროტექნიკური ნაგებობისა ის იღებს მონაწილეობას თბოელექტროსადგურის „თბილსრესის“ მშენებლობისათვის დამხმარე ობიექტების პროექტირებაში.

ბატონი ვასილი გარდა ენერგეტიკული ობიექტებისა მონაწილეობს სამრეწველო ობიექტების პროექტირებაში, როგორცაა ხის დამამუშავებელი კომბინატი ქნორილსკში, რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხანა „ატომპაის“ მშენებლობისათვის ქვოლგადონსკში და სხვადასხვა ობიექტები შუა აზიასა და კამჩატკაზე.

ამავე დროს ამუშავებს პროექტებს საზღვარგარეთის ობიექტებზე, როგორცაა რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხანა ქალაქ ულანბატორში.

გარდა ძირითადი სამსახურისა, ბატონი ვასილი თანამშრომლობს სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციებთან, როგორც კონსულტანტი და ასრულებს პროექტებს მათი დაკვეთით.

იგი თანამშრომლობ „საქპ-

ილროპროექტთან“, რომლის დაკვეთითაც შეასრულა წყალდიდობისაგან დანგრეული „ტყვარჩელჰესის“ გასაშვები შლუზის აღდგენისა და გაფართოების პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.

„ხუდონჰესის“ მშენებლობის დაწყებისთანავე ბატონი ვასილი ერთვება კაშხლის მშენებლობისათვის საქირო ობიექტების პროექტირებაში.

1988 წლიდან ბატონი ვასილი გადადის საპროექტო ინსტიტუტში „საქაგრომრეწველსახპროექტში“ განყოფილებაში მთავარი კონსტრუქტორის თანამდებობაზე.

აქ ის ამუშავებს გორის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხნის პროექტს. აქვე მისი ხელმძღვანელობით შესრულებული იქნა მრავალი საქვამის პროექტი ამიერკავკასიის სხვადასხვა რეგიონისათვის, შესრულებული იქნა გამწმენდი ნაგებობისა და სამაცივრო სისტემების პროექტები ქვოთში.

სამოქალაქო ნაგებობებიდან აღსანიშნავია მისი საჩვენებელი სახლის პროექტი „ახალი რუსებისათვის“ ქირკუტსკში (არქიტექტორი ნ.ჩხეტანი).

დაპროექტებული აქვს თბილისის ისტორიულ ნაწილში ჩეხოვის ქუჩაზე „ხალხური შემოქმედების ცენტრის“ პროექტი (არქიტექტორი ი.ტივილიანი).

ამავე დროს იღებს მონაწილეობას აჭარის სტიქიით დაზარალებულთათვის სოფლის „ახალი შუახევის“ პროექტირებაში, სოფელ შაშიანის მიმდებარე ტერიტორიაზე.

იღებს მონაწილეობას 1988 წელს სასომხეთში ახურიანისა და ამასიის რაიონში, საქართველოში 1991 წელს თერჯოლის და ზესტაფონის რაიონში, ხოლო 2002 წელს ქ.თბილისში მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში.

მაღალკვალიფიციური მუშაობისათვის ვასილ ხადიშვილი მრავალჯერ იქნა დაჯილდოებული სიგელებითა და მედლებით. არის მრავალი რაციონალური წინადადებების ავტორი. იგი დღესაც უანგაროდ ემსახურება ქვეყნის აღმშენებლობის საქმეს, როგორც კონსტრუქტორი და კონსულტანტი სამშენებლო წარმოებაში.

აქტიურად მონაწილეობს „სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, არქიტექტურულ-სამშენებლო, ინტელექტუალურ-საპატენტო, ეკოლოგიური და ეკონომიკური ტერმინების განმარტებითი ლექსიკონის“ სარედაქციო კოლეგიის მუშაობაში.